

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-51

2014 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

„საჯარო-სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო- კვლევითი ცენტრის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №162 დადგენილების საფუძველზე, ვბრძანებ:

### მუხლი 1

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის თანდართული დებულება.

### მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის  
შემსრულებელი

დავით გალგაშვილი

დანართი №1

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.
2. ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი საქმიანობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს აქვს სპეციალური უფლებამოსილება. იგი საკუთარი სახელით უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულებები, აწარმოოს მოლაპარაკებები და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
4. ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო, მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშები, ლოგო, ბეჭედი, აგრეთვე იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. ცენტრის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
6. ცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება №2-83 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.

### მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის მიზანი

ცენტრის საქმიანობის მიზანია:

- ა) სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიების



კვლევა-დანერგვა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ცნობადობის ამაღლება;

ბ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასების უზრუნველყოფა;

გ) ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობა;

დ) მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების მიმართ არსებული საფრთხეების შეფასება და მათი გადაჭრის გზების კვლევა;

ე) თესლისა და სარგავი მასალების კონტროლის საერთაშორისო სისტემების კვლევა, სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა, ხარისხობრივი მახასიათებლების კვლევა და სერტიფიცირება.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.*

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 წლის 24 მარტის ბრძანება №2-65 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.*

### **მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები**

ცენტრის ფუნქციებია:

ა) სასელექციო მეურნეობების მოწყობა და ჯიშთა გამოცდის ორგანიზება ან/და განხორციელება;

ბ) რეკომენდირებული ჯიშების კომპეტენტურ შერჩევაში მწარმოებლის ინფორმაციული მხარდაჭერა;

გ) ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდისა და ინტროდუცირებული ცხოველის ჯიშების აღწერა, გენეტიკური და საინფორმაციო ბანკების შექმნა;

დ) ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების სათესლე და სარგავი მასალების წარმოების თანამედროვე მეთოდების კვლევა და დანერგვის ხელშეწყობა;

ე) მრავალწლოვანი კულტურების აგროტექნოლოგიური კვლევა და გენოფონდის შენარჩუნების ხელშეწყობა;

ვ) მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემების კვლევა და შემუშავება;

ზ) სათესლე და სარგავი მასალის ხარისხობრივი პარამეტრების კვლევა და სერტიფიცირებაში მონაწილეობა;

თ) სოფლის მეურნეობაში ბიოწარმოების დანერგვის ხელშეწყობა;

ი) ნიადაგის კვლევა ხარისხობრივი მაჩვენებლის შესწავლის, ნაყოფიერების შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით;

კ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკების შეფასება;

ლ) ახალი ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა, სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა;

მ) თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენების ხელშეწყობა;

ნ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა კვლევები;

ო) სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავების მეთოდების კვლევა;

პ) კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.*

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 წლის 24 მარტის ბრძანება №2-65 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.*

### **მუხლი 4. ცენტრის მოვალეობები**

ცენტრის მოვალეობებია:

ა) შეასრულოს ამ დებულებით დაკისრებული ფუნქციები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) უზრუნველყოს თავისი საქმიანობის ობიექტურობა, ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა;

გ) ითანამშრომლოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან;

დ) მიაწოდოს ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დადგენილი წესით.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 წლის 24 მარტის ბრძანება №2-65 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.*

### **მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა**

1. ცენტრი მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.

1<sup>1</sup>. ცენტრის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს უფროსი. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს უფროსის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ცენტრის დირექტორის დავალებით შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთ-ერთი თანამშრომელი.

2. ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშია:

ა.ა) იურიდიული სამმართველო;

ა.ბ) ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველო;



- ბ) ფინანსური სამსახური;
- გ) სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახური;
- დ) მეხილეობის კვლევის სამსახური;
- ე) მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევის სამსახური;
- ვ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახური;
- ზ) ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვლევის სამსახური;
- თ) ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახური;
- ი) ბიოაგროწარმოების სამსახური;
- კ) მეცხოველეობისა და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტი;
- ლ) ვეტერინარიის კვლევის სამსახური;
- მ) მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტი;
- ნ) აგროსაინჟინრო კვლევის სამსახური;
- ო) საზოგადოებასთან, რეგიონებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების სამსახური;
- პ) რისკის შეფასების სამსახური;
- ჟ) მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახური;
- რ) მოლეკულური მარკირების ლაბორატორია (დნმ ლაბორატორია);
- ს) მცენარეთა მიკროკლონური (in vitro) გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახური;
- ტ) ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური;
- უ) აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახური;
- ფ) ეკოფიზიოლოგიის კვლევის სამსახური.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №2-199 - ვებგვერდი, 13.10.2014წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 20 მარტის ბრძანება №2-71- ვებგვერდი, 20.03.2015წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №2-202 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2017 წლის 21 აპრილის ბრძანება №2-72 - ვებგვერდი, 24.04.2017წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება №2-83 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 18 დეკემბრის ბრძანება №2-1016 - ვებგვერდი, 19.12.2018წ.

## მუხლი 6. ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციები:

- ა) ცენტრის საქმისწარმოების ორგანიზება და არქივის წარმოება, სახელმწიფო უწყებიდან, ფიზიკური ან იურიდიული პირებისაგან, შემოსული წერილების ან ცენტრში წარმოებული სხვა ნებისმიერი დოკუმენტაციის თუ კორესპონდენციის რეგისტრაცია, მათი მოძრაობის ან შესრულებულ დავალებათა აღრიცხვა;
  - ბ) ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, ცენტრის ინტერესების სამართლებრივი დაცვა;
  - გ) იმ ხელშეკრულებათა შედგენა ან/და მათ შედგენაში მონაწილეობის მიღება, რომლებშიც მხარედ წარმოდგენილია ცენტრი;
  - დ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მონაწილეობით, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვა;
  - ე) საერთაშორისო ურთიერთობებში, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ინტერესების წარმოდგენა;
  - ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემა;
  - ზ) ცენტრის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება და თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა;
  - თ) ცენტრის თანამშრომლების საქართველოში და საზღვარგარეთ (სემინარებზე, კონფერენციებზე და სხვა) სამივლინებო დოკუმენტების მომზადების უზრუნველყოფა;
  - ი) უზრუნველყოს ცენტრის უძრავ-მოძრავი ქონების აღრიცხვა, რეგისტრაცია და ელექტრონული საინფორმაციო ბაზების (რეესტრის) წარმოება;
  - კ) სამეურნეო, სარემონტო, სამშენებლო და მატერიალურ - ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა, ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზება;
  - ლ) ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და სხვა რესურსების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
  - მ) მატერიალურ ფასეულობათა მიღების, აღრიცხვის, შენახვისა და მათი მდგომარეობის კონტროლის განხორციელება;
  - ნ) სასაწყობო მეურნეობის წარმართვა.
2. ფინანსური სამსახურის ფუნქციებია:
- ა) საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების წარმართვა, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება, ფინანსური



ანალიზი;

ბ) ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე კონტროლი;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

3. სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურის ფუნქციები:

ა) მცენარეთა თესლისა და სარგავი მასალების, ცხოველთა, ფრინველთა, სასარგებლო მწერთა და თევზთა ჯიშების, სახეობების, პოპულაციების და გასამრავლებელი მასალის მახასიათებლების განსაზღვრისა და იდენტიფიკაციის მეთოდების კვლევა;

ბ) მცენარეთა თესლისა და სარგავი მასალების, ცხოველთა, ფრინველთა, სასარგებლო მწერთა და თევზთა ჯიშების, სახეობების, პოპულაციების და გასამრავლებელი მასალის ხარისხობრივი მაჩვენებლების, მათი კონტროლისა და შესაბამისობის შეფასების სისტემების კვლევა;

გ) მცენარეთა თესლისა და სარგავ მასალებზე ცხოველთა, ფრინველთა, სასარგებლო მწერთა და თევზთა ჯიშების, სახეობების, პოპულაციების და გასამრავლებელი მასალებზე შესაბამისობის შეფასების პროცედურების განხორციელება და სერტიფიკატების გაცემა;

დ) თესლისა და სარგავი მასალების ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდების კვლევა;

ე) თესლისა და სარგავი მასალების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ანალიზების ჩატარება;

ვ) მცენარეთა გენეტიკური რესურსების სტანდარტებისა და ნორმების კვლევა;

ზ) თესლის კოლექციების მოძიება, იდენტიფიკაცია, დახასიათება, შენახვა და მონიტორინგი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

თ) ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;

ი) სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების ეკონომიკური ანალიზის განხორციელება;

კ) ცენტრის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებული საქმიანობების ანგარიშების სისტემატიზაცია;

ლ) სამეცნიერო თემატიკების დაგეგმვაში მონაწილეობა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში.

4. მეხილეობის კვლევის სამსახურის ფუნქციები:

ა) ხეხილოვანი კულტურების გაშენებისა და მოვლის უსაფრთხო, თანამედროვე ბიოდინამიკური მეთოდების კვლევა, დამუშავება და დანერგვა;

ბ) ხეხილოვან კულტურათა გენეტიკური და ფენოტიპური კვლევა, მოძიება, გენოფონდის დაცვა-კონსერვაცია;

გ) ახალი ჯიშების, მათ შორის, საძირების ინტროდუქცია, სელექცია და ჯიშთა გამოცდა, პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მეთოდების კვლევა;

დ) ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოების ტექნოლოგიების სრულყოფა, მაღალი კატეგორიის სადედე მასალების გავრცელების ხელშეწყობა.

5. მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევის სამსახურის ფუნქციები:

ა) ქართული ვაზის გენოფონდის – ჯიშები და ველური ვაზის ფორმები – დაცვა, საკოლექციო შესწავლა ამპელოგრაფიისა და მიკრომელვინეობის სიმბიოზით და გამორჩეული ფორმების პოპულარიზაცია გამოფენების, პრეზენტაციების, სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციების ფორმატში;

ბ) უცხოური ჯიშებისა და საძირების ინტროდუქცია და დაცვა საქართველოს მდგრადი მევენახეობა-მეღვინეობის უზრუნველყოფის მიზნით და მათ შორის – სელექციურ პროგრამებში გამოყენებისათვის;

გ) ვაზის ქართული და უცხოური გენოფონდის მაქსიმალური ჩართვა მევენახეობა-მეღვინეობის ახალ რეალობაში კლიმატის ცვლილებების, ღვინის ახალი ტიპების, ტრადიციული და ინოვაციური ტექნოლოგიების დამკვიდრების პირობებში;

დ) მოლეკულური გენეტიკის, ქსოვილის კულტურის, ნიადაგურ-კლიმატური პირობების, მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიის, ფიზიოლოგიური და სხვა სამეცნიერო კვლევების მაქსიმალური გაშლა ვაზისა და ღვინის კვლევებში საქართველოში და მათი საშუალებით მსოფლიო დონის სიახლეების დამკვიდრება;

ე) ენოლოგიური, მიკრობიოლოგიური და ამპელოგრაფიული კვლევების ორგანიზება მეღვინეობის ტრადიციული ტექნოლოგიების დაცვისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ღვინოების ახალი მარკების შექმნისათვის;

ვ) მევენახეობის სპეციფიკური მიკროზონების შესწავლა, მათი საზღვრების ცვლილებისა და ახალი ზონების დარეგისტრირებისათვის ქართული ღვინის ასორტიმენტის გაფართოებისა და მევენახეთა შემოსავლების გაზრდის მიზნით;

ზ) საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ხელშეწყობა სამეცნიერო სიახლეების ოპერატიულად მიწოდების გზით;

თ) ჯანსაღი სამეცნიერო და სარგავი მასალების ქვეყნის შიგნით წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიების შემუშავება, საბაზისო და სერტიფიცირებული ნერგის წარმოების ხელშეწყობა;

ი) ღვინის ორგანოლექტიკური და სამეურნეო ტექნოლოგიური მახასიათებლების კვლევა;

კ) მეღვინეობა-მევენახეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება და პოპულარიზაცია.

6. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის ფუნქციები:

ა) სოფლის მეურნეობის პროდუქტების ორგანოლექტიკური და სამეურნეო-ტექნოლოგიური



მხასიათებლების კვლევა;

ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების (მათ შორის, ცხოველური პროდუქტების) შენახვა-გადამუშავების თანამედროვე მეთოდების კვლევა;

გ) რეგიონებში მეცხოველეობის პროდუქტების (რძე და რძის ნაწარმი) მცირეწარმოების, პირველადი და გადამამუშავებელი საწარმოების აუცილებლობის დასაბუთების კვლევა და ახალი ტექნოლოგიების შეთავაზება;

დ) ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შენახვა-გადამუშავების მეთოდების კვლევა;

ე) ხილისა და ბოსტნეულის ნედლად შენახვის ტექნოლოგიების გაუმჯობესების მეთოდების კვლევა;

ვ) შენახვა-გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება და პოპულარიზაცია.

6<sup>1</sup>. ვეტერინარიის კვლევის სამსახურის ფუნქციებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა დაავადებების (მათ შორის, საკარანტინო) კვლევა და ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება;

ბ) ახალი ვეტპრეპარატების კვლევა;

გ) მაღალპროდუქტიული ჯიშების გავრცელების, გამრავლების და მოვლის თანამედროვე მეთოდების შემუშავება;

დ) კვლევის შედეგების და მიღებული მონაცემების შეფასება და ინტერპრეტაცია;

ე) ბექტდური და საილუსტრაციო მასალების მომზადება, რეგიონებში სასწავლო-პრაქტიკული ხასიათის ტრენინგების ჩატარება.

7. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვლევის სამსახურის ფუნქციებია:

ა) კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის და საბოსტნე პარკოსანი კულტურების თესვისა და მოვლა-მოყვანის მეთოდების კვლევა, დამუშავება, ტექნოლოგიების გავრცელება;

ბ) ჯიშთა გამოცდა, შერჩევა, პირველადი მეთესლეობა, სელექციურ მიღწევათა პოპულარიზაცია;

გ) თესლის, საჩითილე და სარგავი მასალის წარმოების მეთოდების კვლევა, შემუშავება ღია და დახურულ გრუნტში;

დ) საქართველოს პირობებისთვის აპრობირებული, ამჟამად არაკულტივირებული, მივიწყებული ჯიშების კვლევა და აღდგენის ხელშეწყობა;

ე) ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიის სრულყოფა და გავრცელება.

8. ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის ფუნქციებია:

ა) ნიადაგების ნაყოფიერების შესწავლა;

ბ) დეგრადირებული ნიადაგების სტრუქტურის გაუმჯობესება და ნაყოფიერების ამაღლების კვლევა, დანერგვის ხელშეწყობა;

გ) ნიადაგის ტენომომარაგებისა და რწყვის წესების მეცნიერული უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

დ) ნიადაგის დამუშავების სისტემების შესწავლა ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებში;

ე) ნიადაგის განოყიერების სისტემების რეგულირება, ნარჩენი ნივთიერებების ზემოქმედების შესწავლა;

ვ) ნიადაგთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების კვლევა და შეფასება.

9. ბიოაგროწარმოების სამსახურის ფუნქციებია:

ა) ბიოაგროწარმოების თვისებრივი მხასიათებლების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) ბიოლოგიური ნივთიერებების კვლევა და მათი გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება;

გ) ბიოაგროწარმოების ბიოეკოლოგიური და ეკონომიკური ეფექტურობის კვლევის მეთოდების შემუშავება.

10. მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური ჯიშების კვლევა, მათი შენარჩუნებისა და სანაშენე და პროდუქტიული თვისებების გაუმჯობესების მიზნით;

ბ) მაღალპროდუქტიული ჯიშების გავრცელების ხელშეწყობა, გამრავლება და მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევა;

გ) სანაშენე აღრიცხვის ერთიანი სისტემის შემუშავების და სანაშენე პირუტყვზე საინფორმაციო ბანკის შექმნის ხელშეწყობა;

დ) ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდის შექმნა.

11. მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემების კვლევა და დანერგვის ღონისძიებების შემუშავება;

ბ) მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების (სოკოვანი, ბაქტერიული, ვირუსული, ვიროიდული და ფიტოპლაზმური) კვლევა და ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებების შემუშავება;

გ) სარეველა მცენარეების კვლევა და მათთან ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებების შემუშავება;

დ) მცენარეთა ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის მეთოდების (ახალი პესტიციდების) კვლევა;

ე) საკარანტინო მავნე ორგანიზმების კონტროლის მექანიზმების შემუშავების ხელშეწყობა.

12. აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის ფუნქციებია:

ა) პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების თანამედროვე ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიების კვლევა და ბიოენერგეტიკული შეფასება;

ბ) სასოფლო-სამეურნეო ოპერაციებისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტრაქტორებისა და ტექნიკური



საშუალებების საქართველოს პირობებისათვის შესაბამისობის კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების მუშაობის ანალიზი და მათი გამოყენების შესაძლებლობის კვლევა საქართველოს პირობებისათვის;

დ) სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებისა და შენახვა-გადამუშავებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური საშუალებების კვლევა.

13. საზოგადოებასთან, რეგიონებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების სამსახურის ფუნქციები:

ა) მედიასთან ურთიერთობის წარმართვა ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებების საზოგადოებრივად გაშუქების მიზნით;

ბ) ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის და სოციალური ქსელის ადმინისტრირება, ინფორმაციის პერიოდული განახლება;

გ) ახალი ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა, საჩვენებელი და სადემონსტრაციო ღონისძიებების მოწყობა;

დ) სამეცნიერო კვლევებისა და ანალიზის შედეგად მიღებული ინოვაციური ტექნოლოგიების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა, ახალი ჯიშების და ჰიბრიდების, თესლისა და სარგავი მასალების ბეჭდური და საილუსტრაციო მასალების გავრცელება;

ე) რეგიონებში სემინარების ჩატარების ორგანიზება, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების მოვლა-მოყვანის, დაცვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, შენახვა-გადამუშავების და სხვა სამეწარმეო საქმიანობის შესახებ;

ვ) ცენტრის წარმომადგენლების ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების კოორდინაცია;

ზ) ცენტრში შემოსული კორესპონდენციის განხილვა;

თ) ურთიერთობის კოორდინაცია საერთაშორისო ან/და დონორ ორგანიზაციებთან, თემატურად დაკავშირებულ უცხო ქვეყნის სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტებთან;

ი) ცენტრის სახელით მონაწილეობის მიღება საერთაშორისო კონფერენციებში, გამოფენებში, პრეზენტაციებში, სემინარებსა და ტრენინგებში;

კ) რეგიონებიდან ინფორმაციის მოპოვება და მისი მიწოდება ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის.

14. რისკის შეფასების სამსახურის ფუნქციები:

ა) რისკის შეფასების ორგანიზება, რისკის მმართველებისათვის რეკომენდაციების მომზადება, კონსულტაციებისა და კომუნიკაციების განხორციელება;

ა.ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში;

ა.ბ) ვეტერინარიის სფეროში;

ა.გ) მცენარეთა დაცვის სფეროში;

ბ) რისკის შეფასებასთან დაკავშირებული, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომი მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის მოძიება და ანალიზი;

გ) რისკის შეფასების მეთოდოლოგიების მოძიება და დანერგვის ხელშეწყობა;

დ) რისკის შეფასების ანგარიშის (დასკვნა-რეკომენდაციები) მომზადება;

ე) ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოსთან (EFSA) ეროვნული საკონტაქტო პირის სტატუსით თანამშრომლობა;

ვ) რისკის შეფასების სფეროში ინსტიტუციური გაძლიერებისა და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ორგანიზებულ პროგრამებში, სემინარებსა და პროექტებში მონაწილეობა;

ზ) რისკის შეფასების პროცესებისა და შედეგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

თ) რისკის მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან თანამშრომლობა.

15. მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის ფუნქციები:

ა) მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურების ჯიშთა გამოცდა, გასავრცელებლად შერჩევა, სელექციური სამუშაოების წარმოება, პირველადი მეთესლეობა;

ბ) მივიწყებული და ნაკლებად გავრცელებული მარცვლოვანი კულტურების რეაბილიტაცია, აგროტექნიკის დამუშავება, თესლბრუნვაში მათი ადგილის შერჩევა და გავრცელების ხელშეწყობა;

გ) მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურების კონდიციური თესლის მიღების ტექნოლოგიების სრულყოფა და ფერმერულ მეურნეობაში გავრცელების რეკომენდაციების დამუშავება;

დ) მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურების ენდემების მოპოვება, სელექციური გაუმჯობესება, გამრავლება და კომერციული შეფასება, მათი გენეტიკურ ბანკში განთავსება და პოპულარიზაცია;

ე) მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურების წარმოების მინდვრის დღეების მოწყობაში; ფერმერთა ტრენინგების ორგანიზებასა და შერჩეული ჯიშების პოპულარიზაციაში მონაწილეობა;

ვ) მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიის სრულყოფა და დანერგვის ხელშეწყობა.

16. მოლეკულური მარკირების ლაბორატორიის (დნმ ლაბორატორია) ფუნქციები:

ა) ქართული ვაზის იშვიათი და მცირედ გავრცელებული ჯიშების იდენტიფიკაცია და მონაცემთა ბაზის შექმნა, კავკასიური ველური ვაზის შესწავლა და ვაზის კულტივირებულ გენოფონდთან მისი



დამოკიდებულების კვლევა. ენდემური ხეხილოვანი კულტურების ჯიშების კვლევა მოლეკულური გენეტიკის თანამედროვე მეთოდებით;

ბ) ქართული ენდემური ერთწლოვანი კულტურების (ხორბლების და მათი წინამორბედების, ტექნიკური და სამარცვლე კულტურების) გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა მოლეკულური მარკერების მეშვეობით.  
17. მცენარეთა მიკროკლონური (in vitro) გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახურის ფუნქციები:

- ა) კარტოფილის და სხვა ერთწლოვანი კულტურების უვირუსო მიკროკლონების მიღება;
- ბ) მრავალწლოვანი მერქიანი მცენარეების (ვაზი, ხეხილი, კენკროვანი კულტურები) მიკროგამრავლება და ეფექტური ტექნოლოგიების შემუშავება;
- გ) მცენარეთა მიკროკლონური (in vitro) ტექნოლოგიების გამოყენება მცენარეთა სელექციაში – მტვრის მარცვლის კულტურა და სხვა;
- დ) მიკროკლონების აკლიმატიზაცია და ორანჟერიაში კულტივირება;
- ე) მცენარეთა მიკროკლონური (in vitro) გენეტიკური ბანკის მოწყობა;
- ვ) ერთწლოვან და მრავალწლოვან მცენარეებზე სამეცნიერო ექსპერიმენტების განხორციელება.

18. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის ფუნქციები:

- ა) ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავება;
- ბ) სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავება;
- გ) სუბტროპიკული კულტურების გენოფონდის მოძიება, დაცვა და კონსერვაცია;
- დ) ახალი პერსპექტიული ჯიშების და საძირების ინტროდუქცია, ჯიშთა გამოცდა;
- ე) ჯანსაღი სამყარო და სარგავი მასალების წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიების შემუშავება;
- ვ) სუბტროპიკული კულტურების გენეტიკური და ფენოტიპური კვლევა, მათი სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა;
- ზ) ინსტრუქციების, რეკომენდაციების, ტექნოლოგიური სქემების და აგროწესების შემუშავება.

19. აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახური:

- ა) ქარსაფარი ზოლების რეაბილიტაცია-გამწმენის ტექნოლოგიების შემუშავება;
- ბ) პერსპექტიული აგროსატყეო კულტურების ინტეგრირება საქართველოს პირობებისთვის;
- გ) სწრაფმზარდი არაინვაზიური მერქიანი სახეობებისა და ფორმების ინტროდუქცია- გამოცდა;
- დ) ბიოეკონომიკური და ენერგეტიკული პლანტაციების გამწმენის თანამედროვე მიდგომების კვლევა;
- ე) იშვიათი მერქიანი სახეობების აღწერა-ინვენტარიზაცია, რუკების შედგენა და კვლევა;
- ვ) თესლთა ბანკის შექმნა და ერთიანი მონაცემთა ბაზის შევსება;
- ზ) მნიშვნელოვანი სახეობების ცოცხალი კოლექციის მოწყობა და კვლევა;
- თ) ტყის ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მეთოდების კვლევა დეგრადირებული მიწების ათვისების მიზნით.

20. ეკოფიზიოლოგიის კვლევის სამსახურის ფუნქციები:

- ა) მეტეოროლოგიური სადგურებიდან მიღებული მონაცემების შეგროვება, ანალიზი და პროგნოზირება ატმოსფერული მოვლენების კვლევისა და შეფასების მიზნით;
- ბ) აგრომეტეოროლოგიური კვლევების დაგეგმვა გლობალური დათბობის, გარემოს დაბინძურებისა და აგროკლიმატური დარაიონების გათვალისწინებით;
- გ) კლიმატის კვლევის საფუძველზე აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება კონკრეტული კლიმატური პირობებისთვის;
- დ) სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მოქმედი აგროკლიმატური მახასიათებლების კვლევა;
- ე) მავნებელ-დაავადებებისა და არახელსაყრელი ეკოლოგიური სტრეს-ფაქტორებისადმი მცენარეთა ქცევის შესწავლა და კვლევა;
- ვ) მინდვრის კულტურათა მაღალმოსავლიანი და გვალვარეზილენი ჯიშების მიღების მიზნით, სელექციური კვლევების განხორციელება;
- ზ) მცენარეულ ორგანიზმებში მიმდინარე ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების კვლევა (ფოტოსინთეზი, ტრანსპირაცია, რესპირაცია, ტრანსლოკაცია და ა. შ.);
- თ) მცენარეთა ბიოქიმიური მაჩვენებლების კვლევა;
- ი) მცენარეული ორგანიზმების უჯრედებსა და ქსოვილებში მიმდინარე ფიზიკური და ქიმიური პროცესების, ქიმიური შემადგენლობისა და ანატომიური აგებულების კვლევა და ანალიზი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის ბრძანება №2-95 - ვებგვერდი, 05.05.2014წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №2-199 - ვებგვერდი, 13.10.2014წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 20 მარტის ბრძანება №2-71- ვებგვერდი, 20.03.2015წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №2-202 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2017 წლის 21 აპრილის ბრძანება №2-72 - ვებგვერდი, 24.04.2017წ.



## **მუხლი 7. ცენტრის მართვა და წარმომადგენლობა**

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

2. ცენტრის დირექტორი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრს მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში და პერსონალურად აგებს პასუხს ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისა და მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

3. დირექტორი მოქმედებს ცენტრის სახელით და მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს სახელმწიფო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში.

4. ცენტრის დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე, მათ შორის, ერთი სამეცნიერო დარგში, ხოლო მეორე – ადმინისტრაციულ დარგში, რომელთაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.

5. ცენტრის დირექტორის არყოფნისას ან მის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის მოვალეობებს ასრულებს ცენტრის დირექტორის მოადგილე.

6. ცენტრის დირექტორი:

ა) ორგანიზაციას უწევს და ხელმძღვანელობს ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას;

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) თანამშრომლებს შორის ანაწილებს უფლება-მოვალეობებს;

დ) საჭიროების შემთხვევაში ამზადებს და წარუდგენს წინადადებებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს ცენტრის დებულებასა და სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

ე) ქმნის სამეცნიერო, ექსპერტთა და საკონსულტაციო საბჭოებს, საკონკურსო და საატესტაციო კომისიებს;

ვ) აფორმებს ხელშეკრულებებს შესაბამის ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ზ) აკონტროლებს ხარჯთაღრიცხვით გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვას;

თ) კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ცენტრის თანამშრომლების წახალისებას ან დისციპლინურ ღონისძიებებს;

თ<sup>1</sup>) უფლებამოსილია ცენტრის თანამშრომელთათვის დაადგინოს დანამატი, რომლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით.

ი) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

## **მუხლი 8. ცენტრის სახელმწიფო კონტროლი**

1. ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

2. ცენტრი ვალდებულია კონტროლის განსახორციელებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს მოთხოვნისთანავე წარმოუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია და მასალები.



### 3. ცენტრს სამინისტროს თანხმობით შეუძლია:

ა) უძრავი ქონების შეძენა, ცენტრის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) თავდებობა;

გ) სესხის აღება;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე ცენტრის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებების მიღება ცენტრის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

5. ცენტრი მისთვის გადაცემული სახელმწიფო ქონების განკარგვას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ცენტრი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება №2-83 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.*

### **მუხლი 9. ცენტრის დაფინანსების წყარო**

1. ცენტრის დაფინანსების წყაროა:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულების შედეგად მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

2. ცენტრის მიერ მიღებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

### **მუხლი 10. ცენტრის ქონება**

1. ცენტრის ქონება შედგება მისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს, კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაცემული, ასევე საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

2. ცენტრის ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობები და ფინანსური რესურსები, რომლებიც აისახება ცენტრის დამოუკიდებელ ბალანსზე.

### **მუხლი 11. დასკვნითი დებულებანი**

1. ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

